



საქართველოს სამდგრადი განვითარების აგენტობა

ეკონომიკური და გარემოსდაცვითი
საქართველოს აგენტობა

საქართველოს სამდგრადი განვითარების ეთიკის საბჭო: ევროპის ქვეყნების გამოცდილების
მიმოხილვა (ბრიტანეთი, ლიტვა, ლატვია, რუმინეთი, სლოვენის
რესპუბლიკა, თურქეთი)

შესავალი

საჯარო სექტორი, ახალი მმართველობის, გარემო გავლენების და სოციო-პოლიტიკური განვითარების შესაბამისად, მუდმივად განიცდის ცვლილებებს. ეთიკური ღირებულებები, ისევე როგორც კანონის უზენაესობა დემოკრატიული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია. ეთიკური ჩარჩო ეფექტური და მყარი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მმართველობის და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურებისათვის მთავარი ბაზისია. მორალურ-ეთიკური კულტურა საჯარო სექტორში საზოგადოების ღირებულებებზეა დამოკიდებული. საზოგადოება, რომელიც არ ან ვერ გამოხატავს მორალურ პროტესტს საჯაროდ, ხელს უწყობს დაბალი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ჩინოვნიკების არსებობას, რაც, თავის მხრივ, კორუფციის ალბათობას ზრდის. კორუფციამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ჯანსაღ ეკონომიკურ კონკურენციას, საფრთხე შეუქმნას თავისუფალ ვაჭრობას და სტაბილურობას, რაზეც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკაა დაფუძნებული. ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მთავრობა საზოგადოებაზე ორიენტირებული საჯარო სამსახურის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ეთიკური ქცევა უნდა განიხილებოდეს როგორც მიმდინარე პროცესი და არა როგორც მდგომარეობა, რომელიც უნდა იქნას მიიღწეული. ეთიკური ქცევა არა მხოლოდ წესების ჩამოყალიბება და კოდექსის შემუშავებაა, ეს არის მენეჯმენტის მიმდინარე პროცესი, რომელსაც მთავრობის მუშაობა ემყარება. ეთიკა უნდა განიხილებოდეს როგორც დამხმარე/საორიენტაციო საშუალება ისეთ კითხვებზე საპასუხოდ, როგორც არის, თუ რას უნდა აკეთებდეს მთავრობა და როგორ უნდა ხდებოდეს საჯარო ადმინისტრირება დასახული მიზნების მისაღწევად.

განსხვავებული კულტურული, პოლიტიკური და ადმინისტრაციული გარემოს მიუხედავად, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები ხშირად მსგავს ეთიკურ გამოწვევებს აწყდებიან. შესაბამისად, ეთიკის მენეჯმენტი ერთნაირ მიდგომას მოითხოვს. საჯარო უწყებების ეფექტური და ნაყოფიერი მუშაობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი კონკრეტულ აქტივობებს შესაბამისი ეთიკის ჩარჩოს ფარგლებში ახორციელებდნენ.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) საჯარო სამსახურში ეთიკის მენეჯმენტის პრინციპები შეიმუშავა:

- საჯარო სამსახურის ეთიკური სტანდარტები მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

- ეთიკური სტანდარტები სამართლებრივ ჩარჩოში უნდა აისახებოდეს.
- საჯარო მოხელეებს ეთიკის სახელმძღვანელო უნდა მიეწოდებოდეთ.
- საჯარო მოხელეებმა, არასწორი ქმედების გამოაშკარავების შემთხვევაში, თავიანთი უფლებები და მოვალეობები, უნდა იცოდნენ.
- საჯარო მოხელეს ეთიკის პოლიტიკური ვალდებულება უნდა აიძულებდეს განახორციელოს ეთიკური ქცევა.
- გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭვირვალე და უსაფრთხო უნდა იყოს.
- საჯარო და კერძო სექტორებს შორის ინტერაქციის მკაფიო და ზუსტი წესები უნდა შემუშავდეს.
- მენეჯერებმა ხელი უნდა შეუწყონ და თავადვე მოახდინონ ეთიკური ქცევის დემონსტრირება.
- მენეჯმენტის პოლიტიკა, პრაქტიკა და პროცესები ეთიკური ქცევის განხორციელებას ხელს უნდა უწყობდეს.
- საჯარო მომსახურების პირობები და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ეთიკურ ქცევას ასევე ხელს უნდა უწყობდეს.
- საჯარო სამსახურში ადეკვატური ანგარიშვალდებულების მექანიზმები უნდა შემუშავდეს.
- ეთიკური ქცევის დარღვევის შემთხვევებისთვის შესაბამისი პროცედურები და სანქციები უნდა შემუშავდეს.

ბევრ ქვეყანაში არსებობს ეთიკის საბჭო ან კომისია, რომელიც საჯარო მოხელეთა მიერ ეთიკური სტანდარტის დაცვის მონიტორინგს ახორციელებს, აწარმოებს გამოძიებებს ეთიკის დარღვევებსა და კორუფციის შემთხვევებთან დაკავშირებით, ამ მიმართულებით პრევენციულ სამუშაოებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ამ მიმართულებით საკანონმდებლო დოკუმენტაციის შექმნის პროცესში მონაწილეობს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სხვადასხვა ქვეყნის საჯარო სამსახურის ეთიკის საბჭოს პრაქტიკისა და გამოცდილების გაცნობა. ნაშრომი წარმოადგენს სამაგიდო კვლევას და ეფუძნება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საჯარო სამსახურის ეთიკის საბჭოს დოკუმენტაციის მიმოხილვას და შესაბამისი ვებ-გვერდების შესწავლას. ნაშრომში განხილულია შემდეგი ქვეყნების მაგალითები: ბრიტანეთი, ლიტვა, ლატვია, რუმინეთი, სლოვენის რესპუბლიკა და თურქეთი.

ბრიტანეთი

საჯარო სამსახურში არაეთიკური ქცევისა და კორუფციის შემთხვევების აღმოფხვრის მიზნით, 1994 წელს საჯარო სამსახურის სტანდარტების კომიტეტი შეიქმნა, როგორც მთავრობის მრჩეველი დამოუკიდებელი უწყება, რომელიც ანგარიშვალდებულია პრემიერ მინისტრის აპარატთან. კომიტეტი საჯარო სამსახურში მიმდინარე პროცესების უწყვეს მონიტორინგს, აქვეყნებს ანგარიშებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

შვიდი პრინციპი, რომელიც უნდა დაიცვას საჯარო სამსახურში დასაქმებულმა ნებისმიერმა პირმა:

- *თავდაუზოგაობა* – საჯარო მოხელემ საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმუშაოს;
- *პატიოსნება* – საჯარო მოხელემ არ უნდა შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მას ან მის ახლობელს ფინანსურ ან სხვა სახის მატერიალურ სარგებელს მოუტანს;
- *ობიექტურობა* – საჯარო მოხელემ გადაწყვეტილება სამართლიანად და მიუკერძოებლად, საუკეთესო სამხილზე დაყრდნობით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა მიიღოს;
- *ანგარიშვალდებულება* – საჯარო მოხელე ანგარიშვალდებულია საზოგადოების მიმართ თავისი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებებისთვის;
- *ღიაობა* – საჯარო მოხელემ გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს და იმოქმედოს ღიად და გამჭვირვალედ. საზოგადოებისთვის არანაირი ინფორმაცია არ უნდა იყოს დამალული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის რეალური საფუძველი არსებობს;
- *კეთილსინდისიერება* – საჯარო მოხელე საზოგადოებისათვის სანდო პირი უნდა იყოს;
- *ლიდერობა* – საჯარო მოხელემ ყველა ეს პრინციპი უნდა გამოამყვანოს და დაიცვას საქმიანობის დროს, ასევე ხელი შეუშალოს არაეთიკურ ქცევას;

კომიტეტი ათი წევრისგან შედგება. თავმჯდომარის გარდა, კომიტეტის წევრები არიან პრემიერ მინისტრის მიერ დანიშნული სამი პოლიტიკური პარტიის წევრი; ასევე ექვსი დამოუკიდებელი პირი, რომელიც პრემიერ მინისტრის აპარატის მიერ ღია კონკურსის წესით შეირჩევა. კომიტეტის წევრები სამი წლის ვადით აირჩევიან .

საჯარო სამსახურის სტანდარტების კომიტეტის წევრების ქცევის კოდექსის მიხედვით, განსაზღვრულია ის აქტივობები და უფლება-მოვალეობები, რაც

კომიტეტის წევრებს ეკისრებათ. კოდექსი ყოველი თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის განმავლობაში ერთხელ უნდა გადაიხედოს. კოდექსის მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სამსახურის სტანდარტების კომიტეტის წევრებმა, მუშაობის განმავლობაში დაიცვან მიუკერძოებულობა და ობიექტურობა, ასევე მათი საქმიანობა მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს;

კომიტეტის საქმიანობა, ძირითადად, შემდეგი აქტივობებისგან შედგება:

- კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ, რათა გადახედონ და შეაფასონ საჯარო სამსახურის სტანდარტთან დაკავშირებული მიმდინარე აქტუალური საკითხები და შეიმუშავონ რეკომენდაციები;
- საჭიროების შემთხვევაში ატარებენ კვლევებს, რათა მოიძიონ ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია;
- აქვეყნებენ პუბლიკაციებს კონკრეტულ პერიოდში საჯარო სამსახურთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების შესახებ;
- ექსპერტებთან ერთად ატარებენ არაფორმალურ შეხვედრებსა და სემინარებს;
- აქვეყნებენ ანგარიშებსა და სხვადასხვა ტიპის სამხილებს;
- აქვეყნებენ თავიანთი საქმიანობის წლიურ ანგარიშებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავენ მომავალ აქტივობებს;
- ატარებენ საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევებს საჯარო სექტორის სტანდარტებთან დაკავშირებით.

კომისიის საქმიანობის გადახედვა და შეფასება სამ წელიწადში ერთხელ ხდება, რის საფუძველზეც ვლინდება სხვადასხვა ხარვეზი და შესაბამისი რეკომენდაციები განისაზღვრება.

ლიტვა

ლიტვის რესპუბლიკის სპეციალური საგამოძიებო სამსახური ანტიკორუფციული უწყებაა, რომელიც ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის და ლიტვის რესპუბლიკის სეიმის წინაშე. საგამოძიებო სამსახურის მისიას წარმოადგენს კორუფციის, როგორც ადამიანის უფლებების, სამართლის პრინციპებისა და ეკონომიკური განვითარების საფრთხის შემცირება. ამ მიზნით, ეს უწყება საქმიანობს ლიტვის რესპუბლიკის საკანონმდებლო ჩარჩოსა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში.

ლიტვის რესპუბლიკის სპეციალური საგამოძიებო სამსახური, ძირითადად, სამი მიმართულებით მუშაობს:

- *კანონის აღსრულება* – კორუფციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დანაშაულს იძიებენ; მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საზოგადოება გამოთქვამს ინიციატივას, ჩაერთოს საგამოძიებო სამსახურის ანტიკორუფციულ საქმიანობაში, რასაც საგამოძიებო სამსახური მაქსიმალურად ეხმარება. საზოგადოებას შეუძლია საგამოძიებო სამსახურს კორუფციის ფაქტების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა გზით მიაწოდოს, რასაც შემდგომში სამსახური გამოიძიებს;
- *კორუფციის პრევენცია* – პრევენციის მიზანია, კორუფციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, დემოკრატიაზე, სოციალურ კეთილდღეობაზე და ა.შ. მაქსიმალურად შეამციროს. ამ მიზნით, მუშავდება და ინერგება კორუფციის აღმოფხვრისთვის საჭირო ზომები, რაც კორუფციის რისკის ანალიზს, ანტიკორუფციულ პროგრამებს, სამართლებრივი აქტების ანტიკორუფციულ შეფასებას, კორუფციის შემთხვევების საჯაროდ გამოაშკარავებას და ა.შ. გულისხმობს;
- *ანტიკორუფციული განათლება და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება* – ამ ტიპის განათლება მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევა და ვრცელდება განათლების ყველა საფეხურზე, როგორც სასკოლო ზოგადი განათლების კურიკულუმში, ასევე უმაღლესი განათლების დაწესებულებებშიც. გარდა ამისა, ეს საკითხი მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების სისტემებში. ასევე, საგამოძიებო სამსახური ამ საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით, მედიასთან აქტიურად თანამშრომლობს, რაც ამ თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს.

ლატვია

2002 წელს ლატვიაში კორუფციასთან ბრძოლისა და პრევენციის ბიურო დაარსდა. ბიუროს მიზანია კოორდინირებულად კორუფციასთან ბრძოლა, რაც გამოიძიებას, პრევენციას და განათლების დონის ამაღლებას გულისხმობს. ბიურო დამოუკიდებელი საჯარო უწყებაა, რომელიც მინისტრთა კაბინეტის ზედამხედველობით შეიქმნა. ზედამხედველობას პრემიერ მინისტრი ახორციელებს. ბიურო ასევე წინასწარი საგამოძიებო უწყებაა და პოლიციის ძალაუფლებაც აქვს.

ბიუროში ამჟამად მუშაობს 141 წევრი, რომლებსაც არაერთგვაროვანი განათლება და გამოცდილება აქვთ. ბიუროს ჰყავს დირექტორი და ორი მოადგილე, რომლებიც სხვადასხვა დეპარტამენტს ხელმძღვანელობენ. ბიუროს დირექტორი 5 წლის ვადით ინიშნება. ის, შეიძლება, სეიმმა მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციით დაითხოვოს. დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი ცხადდება. მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ აპლიკანტს, რომელიც ბიუროს მიერ დირექტორის პოზიციის დასაკავებლად განსაზღვრულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

ბიურო ორი ძირითადი დეპარტამენტისგან შედგება:

- 1) *პრევენციის დეპარტამენტი* – მუშაობს თანამდებობის პირების და პოლიტიკური პარტიების ფინანსების კონტროლის, კორუფციის ანალიზის, საზოგადოებასა და თანამდებობის პირებში ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კუთხით.
- 2) *საგამოძიებო დეპარტამენტი* – იძიებს კორუფციასთან ასოცირებულ დანაშაულებს, რეაგირებს ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში.

ბიურო, ძირითადად, შემდეგი მიმართულებით მუშაობს:

- კორუფციის პრევენცია;
- კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიება;
- საჯარო მოხელეების და საზოგადოების განათლების ღონის ამაღლება კორუფციის, ეთიკის და კანონის უზენაესობის კუთხით;
- პოლიტიკური პარტიების ფინანსური რეგულაციების მონიტორინგი.

კორუფციასთან ბრძოლისა და პრევენციის ბიუროს თანამშრომლები შეიმუშავებენ კორუფციის პრევენციის ეროვნულ სტრატეგიას, კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის სანქციებს და იძიებენ ამ საკითხებს; განიხილავენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ფინანსურ რეგულაციებს, აანალიზებენ და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს; განიხილავენ და რეაგირებენ სხვადასხვა საჩივარზე კორუფციის შემთხვევებთან დაკავშირებით; ამყარებენ კავშირებს და თანამშრომლობენ სხვადასხვა ინსტიტუტთან და საერთაშორისო ორგანიზაციასთან; აკონტროლებენ კორუფციის პრევენციასთან დაკავშირებული კანონების იმპლემენტაციის პროცესს; ეცნობიან და აანალიზებენ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით; იკვლევენ საზოგადოებრივ აზრს და ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის ანალიზს ჩატარებულ გამოძიებებთან, საჯარო მოხელეთა დეკლარაციებთან და კანონის ხარვეზებთან დაკავშირებით; ატარებენ საგანმანათლებლო ღონისძიებებს როგორც საზოგადოებისთვის, ასევე საჯარო

მოხელეებისთვის კორუფციისა და საჯარო სამსახურის ეთიკის საკითხებზე; ასევე აცნობენ საზოგადოებას კორუფციის ტენდენციებს ლატვიაში, კორუფციის აღმოფხვრის შემთხვევებს, სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს კორუფციის დონესთან დაკავშირებით და ა.შ.

რუმინეთი

რუმინეთში დაარსდა ეროვნული ანტიკორუფციული დირექტორატი, რომელიც პროკურატურის უწყებაა და მაღალი და საშუალო დონის კორუფციასთან ბრძოლაზე სპეციალიზირებული. სამსახურის მუშაობა კორუფციის დონეს ამცირებს და ევროპული ღირებულებების მქონე დემოკრატიულ საზოგადოებას ავითარებს. უწყება ევროპის სხვა ქვეყნების (ესპანეთი, ნორვეგია, ბელგია, ხორვატია) ადაპტირებული მოდელების მიხედვით არის შექმნილი.

ეროვნული ანტიკორუფციული დირექტორატი კომპლექსური სტრუქტურაა, სადაც მუშაობენ პროკურორები და სასამართლო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ძირითადად, პასუხისმგებელი არიან საგამოძიებო საქმიანობაზე; ხოლო სხვა პროფესიის ადამიანები - ეკონომისტები, ფინანსისტები, ბანკირები, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტები და ა.შ. ეხმარებიან მათ კომპლექსურ და სრულყოფილ გამოძიებაში. პროკურორის და სასამართლო პოლიციის თანამშრომლის პოზიცია შეუთავსებელია სხვა ნებისმიერ პოზიციასთან, გარდა საგანმანათლებლო საქმიანობისა.

უწყების ძირითადი პრიორიტეტი საგამოძიებო საქმიანობაა. უწყებისთვის სპეციალურად შემუშავდა აქტი, რომლის ფარგლებშიც საშუალო და მაღალი დონის კორუფციული შემთხვევების გამოძიება ხორციელდება. საშუალო და მაღალი დონის კორუფცია განისაზღვრება კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებული თანხის ოდენობით (10 000 ევროზე მეტი) და ამ დანაშაულში ჩართული კონკრეტული მაღალი თანამდებობის პირების მიხედვით.

კორუფციული შემთხვევების გამოსავლენად უწყების საინფორმაციო წყაროებია:

- მოქალაქეებისა და იურიდიული პირებისგან მიღებული ინფორმაცია – საჩივრის, ბრალდების ან თვითბრალდების სახით;

- ხელისუფლებისა და საჯარო უწყებებისგან მიღებული ინფორმაცია – მაკონტროლებელი ორგანოები, პოლიცია, პროკურატურა;
- ყოფილი თანამდებობის პირებისგან მიღებული ინფორმაცია.

სლოვენის რესპუბლიკა

კორუფციის პრევენციის კომისია დამოუკიდებელი უწყებაა, რომელიც ფოკუსირებულია კორუფციის და ეთიკის დარღვევის შემთხვევების გამოძიებასა და პრევენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ კომისია საჯარო სექტორის ნაწილია, ის არც ერთ უწყებას ან სამინისტროს არ ექვემდებარება. კომისია „კორუფციის პრევენციისა და ეთიკის აქტის“ (2010) საფუძველზე დაარსდა.

კომისიის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ადმინისტრაციულ სასამართლო განხილვას ექვემდებარება. ამასთან, კომისია ვალდებულია, პარლამენტს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები წარუდგინოს. კანონის მიხედვით, ასევე კომისიის ვალდებულებაა საქმიანობის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება.

კომისია სამი წევრისგან – ხელმძღვანელი და ორი დეპუტატი შედგება. კანონით განსაზღვრულია კომისიის ხელმძღვანელობის დანიშვნა-გათავისუფლების პროცედურები. კომისიის ხელმძღვანელი და დეპუტატები შეირჩევიან ღია კონკურსის მეშვეობით და ინიშნებიან სლოვენის პრეზიდენტის მიერ. წევრების შერჩევაში მთავრობის სხვადასხვა წარმომადგენელი მონაწილეობს. კომისიის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა 6, ხოლო დეპუტატების – 5 წლით განისაზღვრება. თანამდებობიდან მათი მოხსნა მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია, იმ შემთხვევაში, თუ მათი ქმედება კონსტიტუციას ან კანონს ეწინააღმდეგება.

ხელმძღვანელი პირების გარდა, კომისიაში ღია კონკურსის წესით დასაქმებულები არიან სხვადასხვა პროფესიისა და გამოცდილების მქონე კადრები (ეკონომისტები, აუდიტის სპეციალისტები, სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები, ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმომადგენლები და ა.შ.), რომლებიც სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობენ:

- *საგამოძიებო და ზედამხედველობის ბიურო* – აგროვებს და მონიტორინგს უწევს მაღალი თანამდებობის პირების დეკლარაციების აქტივებს; იძიებს

კორუფციის, ინტერესთა კონფლიქტის და აქტივით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემთხვევებს; ახორციელებს მამხილებელთა დაცვას; თანამშრომლობს კანონის განმახორციელებელ და საპროკურორო უწყებებთან;

- *პრევენციისა და საჯარო სამსახურის ეთიკის ცენტრი* – ახორციელებს კორუფციის ფენომენის ანალიზს; იკვლევს კორუფციის რისკებს; იმუშავებს და ახორციელებს კორუფციის პრევენციისთვის საჭირო ზომებს; ახორციელებს ანტიკორუფციული კანონმდებლობის სკრინინგს (screening); მუშაობს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების კუთხით; თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, კვლევით და აკადემიურ დაწესებულებებთან;
- *სამდივნო* – პასუხისმგებელია ანტიკორუფციული დოქტრინისა და საჯარო სამსახურის ეთიკის საკითხებზე; ატარებს კვლევებს კორუფციის თემასთან დაკავშირებით; ასევე პასუხისმგებელია კომისიის საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობების და სხვა ფინანსური, პერსონალის და ლოჯისტიკური საქმიანობის საკითხებზე.

თურქეთი

კორუფციასთან ბრძოლის და საჯარო სამსახურში ეთიკის კულტურის დანერგვის მიზნით, 2004 წელს თურქეთის საჯარო სამსახურის ეთიკის საბჭო დაარსდა. საბჭოს მიზნები და ფუნქციები განისაზღვრა კანონით „საჯარო სამსახურის ეთიკის საბჭოს დაარსებისა და კანონში ცვლილებების“ მიხედვით. საბჭო პრემიერ მინისტრის უწყებასთან დაარსდა.

ეთიკის საბჭოს ძირითადი მიზნებია:

- საჯარო მოხელეთა ეთიკური ქცევის კოდექსის განსაზღვრა, სხვადასხვა საჯარო ინსტიტუტებისთვის ეთიკის კოდექსის რეგულაციების შემუშავებაში დახმარება.
- პერსონალის საჩივრების ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, საჯარო მოხელეთა მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტების გამოძიება და გამოკვლევა.

- საჯარო უწყებებში, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით, ეთიკის კულტურის დანერგვა, იქნება ეს აკადემიური სწავლებები, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები თუ სემინარები ეთიკის საკითხებზე; ასევე, ტრენერთა გადამზადება ეთიკის საკითხებში და შემდგომ საჯარო ტრენინგების ადმინისტრირება; აღნიშნულ აქტივობებში კერძო და არასამთავრობო სექტორის ჩართვა.

ეთიკის საბჭოს წევრებს და ხელმძღვანელს მინისტრთა აპარატი ირჩევს. საბჭო უნდა შედგებოდეს 11 წევრისგან, რომელთაგან:

ა) ერთი წევრი მინისტრი უნდა იყოს

ბ) ერთი წევრი მერი ან მუნიციპალიტეტის გამგებელი

გ) სამი წევრი, რომლებიც წარსულში სააპელაციო სასამართლოში, სახელმწიფო საბჭოსა და უზენაეს სასამართლოში მუშაობდნენ

დ) სამი წევრი, რომელთაც უკავიათ ან წარსულში ეკავათ ელჩის, გუბერნატორის პოზიციები; ასევე, მუშაობდნენ სამდივნოში ან მარეგულირებელ კომიტეტებში

ე) ორი წევრი უნივერსიტეტიდან, რომელთაც წარსულში ეკავათ ან უკავიათ რექტორის ან დეკანის პოზიცია

ვ) ერთი წევრი, რომელსაც საჯარო სამსახურში ტოპ-მენეჯერის პოზიცია უკავია.

ეთიკის საბჭოს წევრები ოთხი წლის ვადით აირჩევიან. ვადის გასვლის შემდეგ, მინისტრთა საბჭო წევრებს თავიდან ირჩევს. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, რომელიმე წევრის დათხოვნა ან შეცვლა ვადის გასვლამდეც შესაძლებელია.

საბჭოს წევრები თვეში ოთხჯერ იკრიბებიან. შეხვედრაზე დასწრება როგორც საბჭოს თავმჯდომარისთვის, ასევე ყველა წევრისთვის სავალდებულოა. წევრი, რომელიც თანმიმდევრულად სამ შეხვედრას ან ჯამში ათ შეხვედრას არ დაესწრება, საბჭოს წევრობიდან მოიხსნება.

საბჭოს წევრები, საჩივრებზე დაყრდნობით ატარებენ გამოძიებებს ეთიკის კოდექსის დარღვევის შესახებ, გამოაქვთ ვერდიქტები; ატარებენ კვლევებს და ახორციელებენ ისეთი პროექტების შეფასებებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო სექტორსა და ზოგადად საზოგადოებაში ეთიკის კულტურის დანერგვას.

საბჭოს წევრები გამოძიებას რომელიმე საჯარო პირზე საჩივრის მიღების საფუძველზე იწყებენ. ისინი შეისწავლიან საქმეს და გამოაქვთ ვერდიქტი. საბჭოს უფლება აქვს, საჯარო უწყებებიდან სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია და ინფორმაცია გამოითხოვოს. გამოძიება სამ თვეში უნდა დასრულდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

PRINCIPLES FOR MANAGING ETHICS IN THE PUBLIC SERVICE, OECD RECOMMENDATION (1998), PUMA Policy Brief No. 4, Public Management Service

Raga. K, Taylor. D, IMPACT OF ACCOUNTABILITY AND ETHICS ON PUBLIC SERVICE DELIVERY: SOUTH AFRICAN PERSPECTIVE, Nelson Mandela Metropolitan University, Port Elizabeth, Republic of South Africa

Law Related To The Establishment Council Of Ethics For Public Service And Making Modifications On Some Laws (2004)

<http://www.oecd.org/mena/governance/50347836.pdf>

<http://www.public-standards.gov.uk/about-us/>

CODE OF PRACTICE FOR MEMBERS OF THE COMMITTEE ON STANDARDS IN PUBLIC LIFE –

http://37.128.129.237/wpcontent/uploads/2012/11/20100421_Committee_Code_of_Practice_final_2_.pdf

<http://www.stt.lt/en/menu/about-stt/>

<http://www.knab.gov.lv/en/knab/>

Law on Corruption Prevention and Combating Bureau –

http://www.knab.gov.lv/uploads/eng/knab_law_en.pdf

http://www.pna.ro/faces/about_us.xhtml

<https://www.kpk-rs.si/en/the-commission>